პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

დ. ჩოხატაური

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ცვლილება იქნეს შეტანილი „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილების (www.matsne.gov.ge 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016326) დანრთში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.